სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080125938605021

№ 576

25 / თებერვალი /
2021 წ.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობის შესახებ

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 23 თებერვალს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის SMP210000523 მომართვა, რომლითაც შემსყიდველი ორგანიზაცია ითხოვს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით განხორციელებული გამარტივებული შესყიდვის მართლზომიერად ცნობას.

2. შესყიდვის ობიექტი და მისი ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველმა ორგანიზაციამ განახორციელა ბაღდათის მუნიციპალიტეტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვა (60100000 - საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები), ღირებულებით 8113.12 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ესაჭიროებოდათ ტრანსპორტით მომსახურება. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მომსახურების შესასყიდად გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ხელშეკრულების გაფორმების დროს CON210000095 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გამარჯვებული მიმწოდებელი არ იყო გამოვლენილი. აღნიშნული მომსახურების შესყიდვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა სკოლის მოსწავლეთა გადაადგილება, რაც ხელს შეუშლიდა სკოლებში სასწავლო პროცესის წარმართვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განხორციელებული შესყიდვა წარმოადგენდა გადაუდებელ აუცილებლობას, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საჯარო სკოლის მოსწავლეებს ესაჭიროებოდათ ტრანსპორტით

მომსახურება. საგულისხმოა, რომ აღნიშნული მომსახურების შესასყიდად გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით ხელშეკრულების გაფორმების დროს CON210000095 კონსოლიდირებული ტენდერის ფარგლებში გამარჯვებული მიმწოდებელი არ იყო გამოვლენილი. მომსახურების შესყიდვის გარეშე ვერ მოხერხდებოდა სკოლის მოსწავლეთა გადაადგილება, რაც ხელს შეუშლიდა სკოლებში სასწავლო პროცესის წარმართვას. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შემსყიდველი ორგანიზაცია იძულებული გახდა გამარტივებული წესით, გადაუდებელი აუცილებლობით განეხორციელებინა შესყიდვა.

სააგენტო დამატებით აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-13 პუნქტებით და დაადგინა:

1. მართლზომიერად იქნეს ცნობილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელებული შესყიდვა.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე